საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №279

თბილისი „04“ 04 2016 წ

პროგრამების/პროექტების განსაზღვრის შესახებ, რომლებში მონაწილეობაც მასწავლებელს ჩაეთვლება დამატებით საქმიანობად

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ,,მასწავლებლის დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელიც მას კრედიტქულების დაგროვებაში დაეხმარება“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N75 დადგენილებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალის, რომელიც მას კრედიტქულების დაგროვებაში დაეხმარება“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტისა და ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2016 წლის 24 მარტის N292456 მომართვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის 2016 წლის 25 მარტის N298820 სამსახურებრივი ბარათისა და ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის 2016 წლის 29 მარტის N310761 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. ამ ბრძანების დანართის შესაბამისად განისაზღვროს პროგრამები/პროექტები, რომლებში მონაწილეობაც მასწავლებელს ჩაეთვლება დამატებით საქმიანობად;
2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თამარ სანიკიძე

შემსრულებელი:
სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსი

_____30.03.2016 /ლანა ხუნაშვილი/

შეთანხმებულია:
სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან

_____ 31.03.2016 _____ /ეკატერინე მაჩიტიძე/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსთან

_____ 31.03.2016 _____ /დავით ლომინაშვილი/

ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან

_____ 1.04.2016 _____ /თამარ მალაზონია/

ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსთან

_____ /ნათია ჯოხაძე/

მინისტრის მოადგილესთან

_____ /ლია გიგაური/

ბრძანება გაეგზავნოს:
1. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს;
2. ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს;
3. ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტს;
4. შიდა აუდიტის დეპარტამენტს;
5. სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს;
6. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას;
7. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს.

06825

დანართი

პროგრამები/პროექტები, რომლებში მონაწილეობაც მასწავლებელს ჩაეთვლება დამატებით საქმიანობად

N	წარმომდგენი ორგანიზაცია	სამიზნე ჯგუფი	საკრედიტო პროგრამის დასახელება	პროგრამის შინაარსი	ჯამური კრედიტქულების ოდენობა	პროექტის/პროგრამის სახელწოდება წარმდგენ ორგანიზაციაში
1.	შპს ინგლისური წიგნი საქართველოში	ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები	ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგი (ორი 21-საკონტაქტო საათიანი, ჯამში - 42 საკონტაქტო საათი), სემინარები, ვებინარი, გაკვეთილზე დაკვირვება	2	ინგლისური ენის მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროგრამა
2.	PH International საქართველო	სამოქალაქო განათლების მასწავლებლები	სამოქალაქო განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება	პროგრამა #1: ტრენინგები „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“ (24 საკონტაქტო საათი); „სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოების გამოყენება“ (6,5 საკონტაქტო საათი); სადისკუსიო სემინარები; სახელმძღვანელოების დანერგვა და პროფესიული გაზიარება კრიტიკული მეგობრის ჯგუფებში.	3	„მომავლის თაობა“
				პროგრამა #2: ტრენინგები „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“ (24 საკონტაქტო საათი); „სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოების გამოყენება“ (6,5 საკონტაქტო საათი); „სამოქალაქო განათლების საკლასო პროექტების განხორციელება“ (6,5 საკონტაქტო საათი); სასკოლო სამოქალაქო კლუბის მუშაობის წარმართვა (6,5 საკონტაქტო საათი);	3	

				სადისკუსიო სემინარები; სახელმძღვანელოების დანერგვა და პროფესიული გამოცდილების გაზიარება კრიტიკული მეგობრის ჯგუფებში; საკლასო, სასწავლო და კვლევით პროექტების შესწავლა; საგრანტო პროექტების დაგეგმვა-განხორციელება.		
				პროგრამა #3 - ტრენინგები „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“ (24 საკონტაქტო საათი); „სამოქალაქო განათლების საკლასო პროექტების განხორციელება“ (6,5 საკონტაქტო საათი); სასკოლო სამოქალაქო კლუბის მუშაობის წარმართვა (6,5 საკონტაქტო საათი); სახელმძღვანელოების დანერგვა; სადისკუსიო სემინარები; პროფესიული გამოცდილების გაზიარება კრიტიკული მეგობრის ჯგუფებში; სასკოლო სამოქალაქო კლუბის საქმიანობის ხელშეწყობა; საგრანტო პროექტების დაგეგმვა-განხორციელება.	3	
3.	PH International საქართველო	ინგლისური ენის მასწავლებლები	ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგი „ინგლისური ენა სამოქალაქო განათლების გამოყენებით“ (60 საკონტაქტო საათი); ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების საზაფხულო ბანაკი (12 დღე).	3	ინგლისური ენა სამოქალაქო განათლების გამოყენებით

4.	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	ნებისმიერი საგნის პროგრამაში ჩართული მასწავლებლები	მასწავლებლების პროფესიული განვითარება (e-Twinning Plus)	მასწავლებლების მხარდამჭერი ტრენინგი პროექტების დაწერაში, ციფრული რესურსების გამოყენებაში და ონლაინ პლატფორმაზე სამუშაოდ (25 საკონტაქტო საათი); სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობა; ინიცირებული პროგრამის და მასში დასახული აქტივობების განხორციელება / ჩართვა ევროპელი კოლეგების ინიცირებულ პროექტში და მისი განხორციელება.	2	სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან (e-Twining Plus)
5.	სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ	ისტორიის, გეოგრაფიისა, სამოქალაქო განათლებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები	ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	სემინარში მონაწილეობა; სასკოლო პროექტების დაგეგმვა, ინიცირება და განხორციელება ევროკავშირისა და/ან ნატოს შესახებ სწავლების, ცნობიერების ამაღლების მიზნით.	1	მასწავლებელი მეგზური ევროპისკენ
6.	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები	ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	კვლევაზე დაფუძნებული სწავლების განვითარება ტრენინგის საშუალებით (25 საკონტაქტო საათი); შეძენილი უნარების სასწავლო პროცესში გამოყენება;	1	„ჯაჭვური რეაქცია“
7.	ევროპის საბჭო	გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სკოლებიდან საბაზო და საშუალო	ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებზე, უცხო ენის სწავლების სტრატეგიებზე, ინტერკულტურულ და	1	„ერთად გავაუმჯობესოთ პედაგოგიური პრაქტიკა“

		საფეხურის ინგლისური ენის 10 მასწავლებელი		პლურილინგვურ მიდგომებზე, კომუნიკაციის ეფექტურ სტრატეგიებზე, მრავალფეროვნების მართვაზე სასწავლო გარემოში; ტრენინგების შედეგების სასწავლო გარემოში გადატანა, ელექტრონული პორტფოლიოს წარმოება, ნამუშევრების წარდგენა და შემაჯამებელი შეხვედრა.		
8.	გოეთეს ინსტიტუტი	გერმანული ენის მასწავლებლები	გერმანული ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგი „მოდერაციის ტექნიკები“ და გაკვეთილებზე დანერგვა (25 საკონტაქტო საათი).	1	გერმანული ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა
				ტრენინგი „პროექტზე ორიენტირებული სწავლება“ (25 საკონტაქტო საათი).	1	
				ტრენინგი „გრამატიკის სწავლება - მეთოდიკა, სასწავლო ტექნიკა და სტრატეგიები“ და გაკვეთილებზე დანერგვა (25 საკონტაქტო საათი).	1	
				ტრენინგი „პროდუქტიული უნარ-ჩვევების განვითარება, ლაპარაკისა და წერის კომპეტენციების სწავლება“ და გაკვეთილებზე დანერგვა (25 საკონტაქტო საათი).	1	
				ტრენინგი „რეცეფციული უნარ-ჩვევების განვითარება, კითხვისა და მოსმენის კომპეტენციების სწავლება“ და გაკვეთილებზე დანერგვა (25 საკონტაქტო საათი).	1	
				ტრენინგი „დავალებათა ტიპოლოგია გერმანული ენის გაკვეთილზე“ და გაკვეთილებზე დანერგვა (25 საკონტაქტო საათი).	1	

				ტრენინგი „ინტერნეტრესურსები გერმანული ენის გაკვეთილზე“ და გაკვეთილებზე დანერგვა (25 საკონტაქტო საათი).	1	
				ტრენინგი „კონკრეტული პოეზია გერმანული ენის შესწავლის პროცესში“ და გაკვეთილებზე დანერგვა (25 საკონტაქტო საათი).	1	
				ტრენინგი „მეთოდების სკივრი - მოსწავლის გამააქტიურებელი მუშაობის ფორმები“ და გაკვეთილებზე დანერგვა (25 საკონტაქტო საათი).	1	
				ტრენინგი „კომბინირებული სპეცკურსი გერმანულის მასწავლებლებისთვის“ და გაკვეთილებზე დანერგვა (100 საკონტაქტო საათი).	4	
9.	ბრიტანეთის საბჭო საქართველოში	ინგლისური ენის მასწავლებლები	ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგი „სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისურის გაკვეთილზე“ (25 საკონტაქტო საათი).	1	ინგლისური ენის ციფრული რესურსები მოსწავლეების-თვის, მასწავლებლის სახელმძღვანელო წიგნის შექმნა და სატრენინგო პროგრამა
				ტრენინგი, მოკლე სემინარები - სასწავლო მეთოდოლოგიების გაუმჯობესება ინგლისურში, საგაკვეთილო დაკვირვება, პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის მომზადების სწავლება და შემუშავება, პედაგოგთა ჩართვა სოციალურ ქსელებში და გამოცდილების	4	სასწავლო მეთოდოლოგიების გაუმჯობესება და ინგლისური ენის პედაგოგების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა საქართველოში

				გაზიარება, სტაჟირება - ზამთრის სკოლა (ჯამური 178 საათი).		
				ტრენინგი ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებით.	1	განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების კონფერენცია და სატრენინგო პროგრამა ინგლისური ენის პედაგოგებისთვის
10.	ქემონიქსი - საქართველო	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები	დაწყებით საფეხურზე ქართული ენის, ქართულის, როგორც მეორე ენისა და მათემატიკის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ელექტრონულ ტრენინგპროგრამაში მონაწილეობა, გაკვეთილებზე დაკვირვება, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებში მონაწილეობა, სასწავლო რესურსების გამოყენება-დანერგვა. (ელექტრონული ტრენინგპროგრამა - 32 საკონტაქტო საათი, 10 არასაკონტაქტო საათი; სასწავლო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა - 6 საკონტაქტო საათი, 3 არასაკონტაქტო საათი; გაკვეთილზე დაკვირვება - 4 დასწრება და უკუკავშირი) შენიშვნა: აქტივობები გათვალისწინებულია მასწავლებელთა თითოეული კატეგორიისთვის ცალ-ცალკე	2	აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd)
			დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება (მხოლოდ მასწავლებელთა	ფასილიტატორების ტრენინგებში მონაწილეობა, ელექტრონული ტრენინგპროგრამის მომზადება და წარმართვა, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის მუშაობის ხელმძღვანელობა; ვიდეოსესიაზე / სასწავლო ჯგუფის შეხვედრაზე დაკვირვება და უკუკავშირი.	2	

			სასწავლო ჯგუფის ფასილიტატორებისთვის)	(ტრენინგში მონაწილეობა: 24 საკონტაქტო საათი, 4 არასაკონტაქტო საათი, ელექტრონული ტრენინგპროგრამის მომზადება და წარმართვა (32 საკონტაქტო, 20 არასაკონტაქტო საათი; მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის მუშაობის ხელმძღვანელობა: 4 არასაკონტაქტო საათი; ვიდეოსესიაზე / სასწავლო ჯგუფის შეხვედრაზე დაკვირვება: 1 დასწრება და უკუკავშირი. შენიშვნა: აღნიშნულ გრაფაში აღწერილია მხოლოდ ფასილიტაციის აქტივობები.		
			ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება (მხოლოდ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის ფასილიტატორებისთვის)	ფასილიტატორების ტრენინგებში მონაწილეობა, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის მუშაობის ხელმძღვანელობა; სასწავლო ჯგუფის შეხვედრაზე დაკვირვება და უკუკავშირი. (ტრენინგში მონაწილეობა: 12 საკონტაქტო საათი, 2 არასაკონტაქტო საათი, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის მუშაობის ხელმძღვანელობა: 4 არასაკონტაქტო საათი; სასწავლო ჯგუფის შეხვედრაზე დაკვირვება: 1 დასწრება და უკუკავშირი. შენიშვნა: აღნიშნულ გრაფაში აღწერილია მხოლოდ ფასილიტაციის აქტივობები.	1	

			არაქართულენოვანი სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება (მხოლოდ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის ფასილიტატორებისთვის[1])	ფასილიტატორების ტრენინგებში მონაწილეობა, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის მუშაობის ხელმძღვანელობა; სასწავლო ჯგუფის შეხვედრაზე დაკვირვება და უკუკავშირი. (ტრენინგში მონაწილეობა: 12 საკონტაქტო საათი, 2 არასაკონტაქტო საათი, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის მუშაობის ხელმძღვანელობა: 4 არასაკონტაქტო საათი; სასწავლო ჯგუფის შეხვედრაზე დაკვირვება: 1 დასწრება და უკუკავშირი. შენიშვნა: აღნიშნულ გრაფაში აღწერილია მხოლოდ ფასილიტაციის აქტივობები.	1	
			I-VI კლასის დამრიგებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგები, გაკვეთილებზე დაკვირვება (14 საკონტაქტო საათი, 6 საათი პროგრამის წარმართვა, 2 საათი დასწრება და უკუკავშირი)	1	
11.	აშშ მშვიდობის კორპუსი საქართველოში	მოხალისე მასწავლებლებთან ერთად მომუშავე ინგლისური ენის ადგილობრივი მასწავლებლები	ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	უცხოელ მასწავლებლებთან თანამშრომლობა, გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა, ურთიერთდასწრება, წყვილში სწავლება, ტრენინგები, საზაფხულო ბანაკებში მონაწილეობა (300 საკონტაქტო საათი).	2	ინგლისური ენის სწავლების პროგრამა
12.	სსიპ - მასწავლებელთა	მოხალისე მასწავლებლებთან	ინგლისური ენის მასწავლებლების	უცხოელ მასწავლებლებთან თანამშრომლობა, გაკვეთილების	1	ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად

[1] აღნიშნული პროგრამების მიზნებისათვის სასწავლო ჯგუფების ფასილიტატორი არ გულისხმობს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“ გათვალისწინებულ ფასილიტატორს.

	პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	ერთად მომუშავე ინგლისური ენის ადგილობრივი მასწავლებლები	პროფესიული განვითარება	ერთობლივი დაგეგმვა, ურთიერთდასწრება (300 საკონტაქტო საათი).		
13.	ბავარიის ბუნების კონსერვაციისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის აკადემია	ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებლები	ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგები ბიომრავალფეროვნება-ში ორი მიმართულებით: პეპლების მოდული და ჭიანჭველების მოდული (8 საკონტაქტო საათი); მოსწავლეებისთვის ექსპერიმენ-ტული სწავლების დანერგვა ცოცხალი ორგანიზმების სასწავლო გარემოში შეტანით (2-5 კვირა); მოსწავლეებში კვლევითი კომპეტენციების განვითარება.	2	ბუნების მიმართ ცნობიერების ამაღლების ექსპერიმენტული სწავლება და განათლება (ELENA)
14.	ფრანგული ენის სწავლების ხელშეწყობისა და განვითარების ფონდი საქართველოში	ფრანგული ენის მასწავლებლები	ფრანგული ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგები თემებზე: აქტივობების შერჩევა გაკვეთილისთვის, პედაგოგიური დოკუმენტების მოძიება, შერჩევა და დიდაქტიზება, მიზნებისა და ატივობების განსაზღვრა, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენა; მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრება; სასწავლო აქტივობების შექმნა; ფრანკოფონიის დღეებისთვის მზადება.	2	საქართველოს საჯარო სკოლებში ფრანგული ენის გაძლიერებული სწავლების პროგრამა
15.	ეკოვიჟენი - კავშირი მდგრადი განვითარებისთვის	საზოგადოებრივი მეცნიერებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები	საზოგადოებრივი მეცნიერებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგები თემებზე: ენერგოდაზოგვა, ენერგოეფექტურობა, ნარჩენების, კლიმატის, ბიომრავალფეროვნების მდგრადი განვითარება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარების პრინციპების სწავლება (24 საკონტაქტო საათი);	3,	ენერგიისა და რესურსების გამოყენების საერთაშორისო სასკოლო პროექტი

				სადისკუსიო სემინარები; გარემოსდაცვით თემატიკაზე სამოდელო გაკვეთილების მომზადებაში დახმარება; ეკოკლუბების შექმნისა და მუშაობის მიზნით დახმარება, ეკოკლუბების გამართული და ეფექტური ფუნქციონირება.		
16.	აშშ საელჩო	ინგლისური ენის მასწავლებლები	ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	10 ონლაინ კურსი - მეთოდოლოგიური კონცეფციები, ინოვაციური დისტანციური სწავლება უახლესი ტექნოლოგიების გამოსაყენებლად; პროფესიული ქსელების შექმნა სწავლების ექსპერტებთან (100 საათი).	2	ინგლისური ენის მასწავლებლების სასტიპენდიო პროგრამა
				სემინარები აშშ-ს უნივერსიტეტში, ახალ მეთოდოლოგიაზე, კურიკულუმის შემუშავებაზე, გაკვეთილის დაგეგმვაზე, სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებაზე.	1	მასწავლებელთა დახელოვნების პროგრამა - სტაჟირება IREX-ის პროგრამა
				6 ონლაინ სესია ინტერაქტიურ, მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაზე, ინოვაციურ მეთოდებზე, საუკეთესო პრაქტიკაზე. თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნის კოლეგებთან; პროგრამაში მონაწილე მასწავლებელი აიღებს 1 კრედიტს, ხოლო სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში 2-ს.	2	ამერიკული ინგლისურის ვებინარი